№ 125 ივნისი 17 ოთხშაბათი

„Иверія“ (ежедневно)
Кутаисъ
2-ой гильд. куп. Беро гр.
Пурцхванидзе

1892

ივნისი 17, ოთხშაბათი № 125

გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ-დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა. ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეკი.

1877—1892 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892

სოფლის სავანის, (შორაპნის მაზრის) წმინდის გიორგის ეკკლესიაში, 19 ამა ივნისის თთვისას გარდახდილ იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი **დეკანოზის იოანნე ზურაბის ძის აბაშიძის** მოსახსენებლად, ამითვის ძენი მისნი: **დიმიტრი** და **ანტონ** და ძმა სახულ აბაშიძენი სთხოვენ, ვისაც სურს განსვენებულის პატივის ცემა, მობრძანდეს იმ დღისათვის. (1—1)

## „ივერია“

გამოვა 1892 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

**ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1892 წლისათვის მიჰმართოს:**

**ტფილისში:** ა) თვითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

## ახალი ამბავი

*** 13 ივნისს ქალაქ-შუშაში სამი ხოლერით ავადმყოფი აღმოჩნდა, ბაქოდგან მისული.

ბაქოს გუბერნატორი იუწყება, რომ 13 ივნისს ბაქოს სამკურნალოში მიუყვანიათ 35 ხოლერით ავადმყოფი, გარდაცვლილა ამავე დღეს 18, კარგად გამხდარა 2, სამკურნალოში იმყოფება 84. ამას გარდა ბალახანში ხოლერით ავად გახდა 3. 14 ივნისს გემით „ალექსეი“-თი ერთი ხოლერით ავადმყოფი მიიყვანეს, რომელიც მაშინვე იმავე დღეს დაარსებულ სამკურნალოში გაჰგზავნეს. სამკურნალოს გარეშე ბაქოში 14 ივნისს გარდაიცვალა 6 კაცი.

14 ივნისს ბაქოს სამკურნალოში მიიყვანეს 48 ავადმყოფი. ამავე დღეს სამკურნალოში გარდაიცვალა 36, კარგად გახდა 2, სამკურნალოში იმყოფება 90. ამას გარდა ქალაქში გარდაიცვალა 8, ბალახანში 2, შავს ქალაქში 13 ივნისს ავად გახდა 3, 14 ივნისს 2 გარდაიცვალა. სულ 14 ივნისს მთელს ქალაქში გარდაიცვალა ხოლერით 48 კაცი.

11 ივნისს ტფილისში ბაქოდგან ჩამოსული სათადარიგო ჯარის კაცი ტხორჟი გუშინ-წინ ხოლერით ავად გახდა და მიხეილის სამკურნალოში გაჰგზავნეს („Кавказъ“).

*** ტფილისის მესამე განყოფილების მომრიგებელმა მოსამართლემ ბ-ნმა წინამძღვრიშვილმა აცნობა პოლიციას, იმ სახლების პატრონებს, რომელთაც უსუფთაობა აღმოუჩნდებათ სახლში ან ეზოში, ოქმს-კი ნუ შეუდგენთ, პირდაპირ მე მაცნობეთ, იმ წამსვე ადგილობრივ გავსინჯავ და ჯარიმას გადავახდევინებო.

*** ტფილისის სერპინეს დედათა გიმნაზიაში წრეულს სხვათა შორის VIII კლასის სწავლა დაამთავრეს და მოწმობა მიიღეს სხვათა შორის: დარია საყვარელიძემ, თამარ ხაინდრავამ, თამარ ალექსი-მესხიშვილმა და ნადეჟდა თუმანიშვილმა.

*** ამ დღეებში ტფილისის მაზრის სოფ. წინწყაროს მცხოვრებელს იაგორ ლაბჯიონეს, რომელიც ცოლითურთ დაბა ჩხიკოტაში იყო სათიბლად, დაეცნენ სოფ. ვარდის უბნის მცხოვრებნი ვანო პაპიშვილი, დიმიტრი და გოლა თელაძეები და ერთიც უცნობი თათარი, მოსტაცეს ნათესავი ახალგაზდა ქალი და გაიქცნენ. მოტაცებულის ქალის ამბავი ჯერაც ვერ შეუტყვიათ.

*** 15 ივნისიდგან მადათოვის კუნძულზედ დაარსდა სამოქალაქო უმთავრესი საწყობი სადეზინფექციო წამლებისა. ამ საწყობის გამგედ დაინიშნა მკურნალი-დეზიფექტორნი რაზამატი. ამ საწყობიდგან სადეზინფექციო წამლები გაეგზავნება ხოლმე ქალაქის საბჭოს მიერ დაარსებულს სასანიტარო დასებს და აგრეთვე სასანიტარო დასის მკურნალის ბარათით უფასოდ მიეცემა ქალაქის ღარიბს მცხოვრებლებს.

*** ის ვაგონები, რომელიც მოდის ბაქოდამ, ამას იქით აღარ გაიგზავნება ბათუმისაკენ; მათ მაგიერ, სულ სხვა ვაგონები და მატარებელი წავა ხოლმე.

*** 14 ივნისს ბათუმიდამ გაიგზავნა ბაქოსაკენ სპარსეთში ვერცხლი ზოდებად 208 ყუთი, წონით 458 ფუთი და 9 გირვანქა, სულ 400,000 მანათისა.

*** ბაქოს სადგურზე რკინის გზის მოსამსახურეთ ეძლევათ ყოველ დღე ორი გირვანქა ჩაი და ნახევარ ფუთი შაქარი.

*** ვარშავის საბეითალო ინსტიტუტში წელს გაათავა კურსი ერთმა ქართველმა გ. რ. მრევლიშვილმა. როგორც შევიტყეთ, ჩინებულად დაუმთავრებია სწავლა.

*** ინგლისურს ჟურნალ „The Academy-ში, № 1048, ამ წლის 4 ივნისის თარიღით დაბეჭდილია საბიბლიოგრაფიო წერილი ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორის მორფილისა პროფ. ბ-ნ ალ. ან. ცაგარლის თხზულებათა შესახებ: „სიგელნი და სხვა საბუთნი მე-XVIII საუკუნისა, საქართველოს შესახებნი“ და «ურთიერთობა რუსეთისა და კავკასიისა მე XVI—XVIII საუკუნოებში. მორფილის წერილის სათაურია: „The relations of Russia with Georgia“. ამ წერილის შინაარსს მალე შევატყობინებთ ჩვენს მკითხველებს.

*** ჩვენ მივიღეთ ოზურგეთიდამ იქ დაბეჭდილი ახალი ქართული წიგნი: „რამდენიმე მოთხრობა ე. ნინოშვილისა“ (ფსევდონიმია), გამოცემული ბ-ნ კ. თავართქილაძის მიერ. წიგნში მოთავსებულია ყველა ის მოთხრობანი, რომელიც ამ ახალგაზდა ავტორს დაუწერია. სულ ხუთი მოთხრობაა. პირველი „გოგია უიშვილი“, თუ არ ვსცდებდით, გაზ. „თეატრში“ იყო დაბეჭდილი, დანარჩენი ოთხი მოთხრობა: „უცნაური სენი“ „პალიასტომის ტბა“, „არშიყნი“ და „სიმონა“ ჩვენ გაზეთში დაიბეჭდა ფელეტონებად. ვრცელს გარჩევას ამ მოთხრობათა შემდეგ დავბეჭდავთ. წიგნი საკმაოდ მოზრდილია, სულ 274 გვერდი და ღირს 50 კაპ.

*** იქიდამვე მოგვივიდა ცალკე წიგნად გადაბეჭდილი მოთხრობა ზემოხსენებულისავე ავტორისა „სიმონა“, ღირს 30 კაპ.

*** ტფილისის პოლიცმეისტერმა მისწერა ქალაქის ყველა აფთიაქის პატრონებს, იკისრებთ თუ არა, რომ ვინიცობაა ტფილისში ხოლერა გაჩნდეს ღარიბ ავადმყოფებისთვის მკურნალის მიერ დაწერილი წამლები ნახევარ ფასად გაჰყიდოთ და ეს ფული ქალაქის მმართველობისაგან მიიღოთო. ამ თხოვნაზედ აფთიაქების პატრონებმა: ვილლარეტმა, ალმუროვმა, მელიქ ნუბაროვმა, რედლიხმა და ზამლინსკიმ სრული თანხმობა გამოაცხადეს. იმედია, რომ სხვა აფთიაქების პატრონებიც არ იტყვიან უარს და ზემოხსენებულ აფთიაქების პატრონებს არ ჩამორჩებიან ამ კეთილს საქმეში.

*** ტფილისის პოლიცმეისტერმა განკარგულება მოახდინა, რომ მიხეილის სამკურნალოში მუდამ იყოს ხოლმე პოლიციის მოხელე, რომელმაც თვალ-ყური უნდა ადევნოს ყველა ავადმყოფს, რომელსაც ამ საავადმყოფოში მიიყვანენ, და თუ ავადმყოფი საეჭვო აღმოჩნდა, იმ წამსვე ბოქაულს უნდა შეატყობინოს. ამასთან უნდა ისაც ადევნოს თვალ-ყური, რომ ის ეტლი, რომლითაც ავადმყოფს მიიყვანენ სამკურნალოში, იქვე სადეზინფექციო წამლებით აპკურონ.

ამას გარდა პოლიცმეისტერმა ყველა ბოქაულებს დაავალა, თვალ-ყური ადევნეთ ბაქოდგან ჩამოსულთ და, თუ ვინიცობაა, ხოლერიანი ავადმყოფი აღმოჩნდა ვინმე, მაშინვე მიხეილის სამკურნალოში გაჰგზავნეთო.

*** 14 ივნისს ტფილისის სამოქალაქო სამ-კლასიანს სასწავლებელში წლიური აქტი იყო. წრეულ ამ სასწავლებელში სწავლა დაამთავრეს და მოწმობა მიიღეს სხვათა შორის შემდეგმა მო წაფეებმა: არჩილ ბაქრაძემ, ივანე დათიევმა, პანტელეი სარიევმა, გ. სიმონიანცმა და ონისიმე მწერვალიშვილმა.

*** შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით, ტფილისის მიხეილის საავადმყოფოს მკურნალი ი. ზ. ლორის-მელიქოვი გაგზავნილი იქმნა რეშტში, საცა უკანასკნელს დროს ხოლერა აღმოჩნდა.

*** კოჯორსა და ტფილისს შუა გაიმართა დროებით ფოსტა-ტელეგრაფი.

*** ქალაქის გამგეობის სადგომის მახლობლად 13 ივნისს რევოლვერით დაჭრილი ნიკოლსკი უკვე გარდაიცვალა. მკვლელი ალექსანდრე დრუჟინინი გამომძიებელმა ციხეში დააპატიმრა.

*** სომხებს სომხურს ენაზედ დასაბეჭდად ჰერბერტ სპენსერის ნაწერები მოუმზადებიათ.

*** ამ დღეებში ჩვენ ვიშოვეთ რამდენიმე ფურცელი ერთის ძველის ქართულის ჟურნალისა, რომელიც 1833 წ. იბეჭდებოდა სოლ. დოდაშვილის რედაქტორობით და სულ ოთხი წიგნი გამოვიდა. ეს ფურცლები გადაეცემა «წერა-კითხვის საზოგადოების» მმართველობას.

*** კარგა ხანია, რაც ტფილისის ერთ-ერთს სტამბა'ში დაიწყეს ბეჭდვა დე-ამიჩისის თხზულების თარგმანისა: „დღიური შეგირდისა“. ეს წიგნი, როგორც შევიტყეთ, მალე გათავდება და გამოვა გასასყიდად. ამავე წიგნის გადათარგმნა და დაბეჭდვა განუზრახავს ქუთაისის წიგნების მბეჭდავს ამხანაგობას. ჩვენის აზრით, ურიგო არ იქნება, ამხანაგობა მოუცდიდეს ამ წიგნის დაბეჭდვას და, თუ ვინიცობაა, თარგმანი სუსტი იქნება, მხოლოდ მაშინ მიჰყოს ხელი ხელ-მეორედ მის თარგმნა-დაბეჭდვასა.

*** სოფ. ჩორჯო (რაჭა): აქეთ მოსავალს ჯერ-ჯერობით კარგი პირი უჩანს. ვენახებს ბევრმა შეძლებულმა უწამლა და, იმედია, ღვინოც კარგის თვისებისა მოუვათ ამისთანებს. მაგრამ ბევრი ღარიბი-კაციკი დარჩა და ვერ უწამლა ვენახს, რომელიც ჩვენში თითქმის ერთადერთი წყაროა ცხოვრებისათვის. ყელგადაგდებულნი იხვეწებოდნენ გლეხნი, გვიშველეთ, უწამლეთ ჩვენს ვენახებს და ნახევარი მოსავლისა თქვენ წაიღეთო, მაგრამ ვინ იყო პატრონი. დავიჯეროთ, არ შეუძლიან სამეურნეო საზოგადოებას, ან მის განყოფილებას ქუთაისში ამ საქმეს როგორმე მოუაროს და უშველოს?! სხვა არა იყოს-რა, შეუძლიან ქირით მაინც გაუგზავნოს ზოგიერთს ამისთანა სოფლებს სასხურებელი მაშინა.

*** სუხუმი: ოსმალეთიდგან გადმოსახლებულმა სომხებმა და ბერძნებმა ბევრი თამბაქო მოიყვანეს შარშან და წელსაც უმეტეს მოსავალს მოელიან, რადგანაც ბლომად ადგილები აქვთ შემუშავებული. ამის მიზეზი გახლავთ პეტერბურგელი ფირმა ბოგდანოვისა, რომელიც აქ ბლომად ჰყიდულობს ადგილობრივს თამბაქოს და რიგიან ფასსაც იძლევა. შარშანდელი ნაყიდი თამბაქო ასი ათას ფუთს აღემატება.

*** იქიდამვე: სუხუმელებს წარმოდგენების სეზონი ამ ჟამად დაგვიდგა. აულია ყველას თავი, ვინც-კი ან სცენაზედ ყოფილა როდისმე და ან ცირკში და მოგვსევიან. ლამის უიმისოდაც გატყავებული სუხუმი სრულებით გაატყავონ.

*** ახალ-სენაკი: თითქმის ყოველ დღე სამწუხარო ამბებს იუწყებიან გაზეთები ხოლერის შესახებ. ამასთანავე გაზეთებიდგანა სჩანს, რომ უპირველეს ყოვლისა საჭიროა ყურადღება მივაქციოთ სისუფთავეს, რადგანაც უსუფთაობა ბუდეა ყოველ გვარის ავადმყოფობისა. ჩვენში საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს იმ პატარა ღელეს, რომელიც აქ გადის და რომლის ნაპირებზედ ჰყრიან აქაურნი მცხოვრებნი თუ მედუქნეები ყოველ გვარს უწმინდურებას და მით აფუჭებენ ჰაერს. უნდა მიექცეს აგრეთვე ყურადღება, როგორც ქუჩებს, ისე სახლკარის სისუფთავეს. უყურადღებოდ არ უნდა იქმნას დატოვებული სურსათ-სანოვაგე, განსაკუთრებით-კი ხმელი თევზეულობა, რადგანაც ზოგიერთს გაფუჭებული თევზი აქვს და გულ-დამშვიდებით-კი ჰყიდის ამისთანა დროში.

*** ბათუმი: წარსულს კვირას ბათუმში მკურნალის გრ. ვოლსკის სა-

დგურში ღია ფანჯრიდგან ვიღაც ქურდი შეიპარა, რაც-კი ოთახში დახვდა, ტანთსაცმელი, საათი, წაღები, ყველა მოაგროვა და იმავე გზით მშვიდობიანად გასწია თავისთვის („Нов. Об.“).

*** კვირას, 14 ივნისს, ნაშუადღევის 3 საათზედ მეთერთმეტე სასანიტარო დასი, შემდგარი ნ. ი. ნიკოლაძეს მეთაურობით, რომელშიაც იმყოფებიან: მკურნალი როტინიანცი, ტფილისის მაზრის უფროსი თავ. ჯანდიერი და წყლის მილის ინჟენერი ენფიანჯიანცი, ავჭალას გაემგზავრა. სასანიტარო დასმა დაათვალიერა ავჭალის წყაროების მიდამოები, მოახდინა განკარგულება, რომ სუფთად იყოს იქაურობა შენახული და იმავე დღეს ტფილისს დაბრუნდა.

*** გაზეთი „Т. Л.“ იუწყება, რომ ტფილისის ციხეში ფოთიდგან პატიმრები ჩამოიყვანეს და მათ შორის სამი შავი სახადით ავადმყოფი აღმოჩნდა. ერთი მათგანი, ტალკოვი, გარდაიცვალა და დანარჩენები სამკურნალოში იმყოფებიან.

*** იგივე გაზეთი იუწყება, რომ ბაქოსა და ბალაჯარას შუა რკინის გზის მე-799 ვერსზე გამართული ტელეგრაფის სადგური დროებით გაუქმებულ იქმნა იმის გამო, რომ მუშებმა უარი სთქვეს ამ ადგილას მუშაობისა.

*** გაზეთი „Каспій“ იუწყება: ბაქოს მუშები თავს ანებებენ მუშაობას და რკინის გზითა და გემებით მიდიან ბაქოდგან.

*** 15 ივნისს პოლიციის მეხუთე ნაწილში მნაცაკან მნაცაკანოვი სიმთვრალეში სახლის მეორე სართულის აივნიდგან გადმოვარდა; დაშავებული სამკურნალოში გაჰგზავნეს.

*** 15 ივნისს ჰიდაობის დროს ბაგრატ ფარსადანოვმა 30 მანეთი ამოაცალა ჯიბიდგან ალა მურადოვს, მაგრამ მალე შეუტყეს და იქვე შეიპყრეს.

## ქალაქის საბჭო

15 ივნისს

საბჭომ მოისმინა წინადადება ტეხნიკთა კომისიისა მასზედ, რომ ავჭალაში სასურველი შედეგი მიიღო ქალაქმა მტკვრის წყალის დაწმენდის შესახებ და ამიტომ საბჭომ უნდა გამოიღოს ხარჯად ორი ათასი თუმანი, რომ გაკეთდეს შესაფერი არხები, მილები და სხვანიო. ქალაქის გამგეობამ სთხოვა, რომ გადასწყვიტეთ-კი ორი ათასის თუმნის დახარჯვა, რადგან ზაფხულში საბჭოს მოწოდება შეუძლებელი იქმნებაო, და მაგ ფულიდამ დავხარჯავთ ჯერ ექვსას თუმანს და, უკეთუ წყალი საკმარისი გამოჩნდა, დანარჩენს ათას ოთხას თუმანსაც მაშინ დავხარჯავთო.

ხმ. გ. ყორღანოვი. მაგრე წყალის დაწმენდა ფულის გადაყრაა წყალში. არხი გასჭერით, გაავსეთ ქვა-ქვიშით. პირველ ხანებში სუფთა წყალი გამოვა არხიდგან, მაგრამ შემდეგ მალე გაივსება ლამით და, არა თუ სუფთა, ჰუჰყიანი წყალიც ველარ წამოვა არხზე. ევროპის ქალაქების მრავალმა მაგალითმა გვაჩვენა, რომ მაგეთი არხები სრულებით უადგილოა და ხარჯის მეტს არას აძლევს კაცს. ისევ ისა სჯობია, გავმართოთ ხელოვნური ფილტრები წყალის დასაწმენდად და მაგ ორი ათას თუმანს ტყუილად ნუ დავღუპავთ.

ქალაქის ინჟენერი ენფიაჯიანცი. აქ სიტყვა ის არის, არხში წამოვიდეს წყალი, თორემ იგი ყოველთვის გაიწმინდება, ხოლო თვით არხი, რომელსაც თანდათან ლამი მოეკიდება, თავისთავად გაიწმინდება, ამიტომ რომ მტკვარისთანა ჩქარი მდინარე ადიდების დროს თვითონვე გასწმენდავს და გაიტანს ლამსა.

ხმ. მ. ვ. მაჩაბელი. რა სიღრმეზეა გაჭრილი არხი დღეს?

ქალაქის ინჟენერი. ორს არშინზედ. ხოლო რადგან მტკვარმა დაიკლო ერთ საჟენამდის, ამიტომ არხში წყალი აღარ არის. ეხლა საჭიროა ძირს დავწიოთ არხი, რომ რაც გინდ ცოტა წყალი იყოს მტკვარში, მაინც არხს არ მოაკლდეს იგი.

ხ. მ. ვ. მაჩაბელი. მე არ მესმის, როგორ გინდათ მანდამდე დააღრმაოთ არხი და თანაც მაშინა მოიპოვოთ, როდესაც მაგაზედ სულ ექვსას თუმანს ითხოვთ და გვეუბნებით—უკეთუ დაღრმავებული არხი მოგვცემს საკმარისს წყალს, მაშინ დანარჩენ ათას ოთხას თუმანსაც დავხარჯავთ საქმის მოსაწყობადაო. მე მგონია, რომ არა თუ ექვსასი თუმანი არა კმარა არხის დაღრმავებისთვის, მთლად ეგ ორი ათასი თუმანიც მაგ საქმეს მოუნდება.

ქალაქის თავი. გაზაფხულზედ საბჭომ მოგვცა ნება დაგვეხარჯნა ხუთასი თუმანი. წყალ დიდობის გამო ჩვენ დავხარჯეთ მხოლოდ სამასი თუმანი და კარგი ნიშანიც გვაჩვენა არხმა. ორასი თუმანი დაუხარჯველი გვაქვს და ამ სახით მარტო მიწის სათხრელად გვექმნება ოთხასი თუმანი.

ქალაქის ინჟენერი. ეგ ფული საკმარისი იქმნება არხის დასაღრმავებლად.

ხმ. ბაქრაძე. დღეს ჩვენ ვამუშავებთ ავჭალაში ორს ტიურბინს და თან მაშინასაც, რომ დღეში 500-600 ათასი ვედრო წყალი მივიღოთ ქალაქში. განა საშიში არ არის, რომ მაგოდენა წყლის გზავნით მაშინებიც გაგვიფუჭდეს და უმთავრესმა მილმაც ვერ აიტანოს და გასკდეს?

წევრი გამგეობისა პ. ა. იზმაილოვი. საშიში იქმნებოდა, რომ მაშინას გამუდმებით ვამუშავებდეთ, მაგრამ იგი მუშაობს დღეში მხოლოდ 5 საათს. ამასთანავე, როგორც ტეხნიკთა კომისია ამბობს, უკეთუ განიერს მილებს ჩავყრით ქალაქში, მაშინ მილები ადვილად გაატარებს მაგ წყალს და აღარც მაშინას მოუვა დიდი ჯაფა.

ხმ. მ. ვ. მაჩაბელი. ეხლა მე სრულებით აღარა მესმის-რა. გვეუბნებიან საექვო საქმეზე გადაყარეთ ორცი ათასი მანათი, და თანაც მართლა საშიშოა, რომ, თუ ბევრი წყალი გვექმნა ავჭალაში, ვერ გამოვგზანით მილებით, რადგან საფიქრებელია, ვაი თუ მილებიცა და მაშინებიც ერთიან დაგვეღუპოს. გვითხარით, ბატონებო, რომ მაგ ფულით ჩვენ მართლა და უეჭველად გვექმნება საჭირო წყალი და არც მაშინებს დააკლდებათ რამ, მაშინ მეც ყაბული მექმნება, არა და—მე წინაამდეგი უნდა ვიყო თქვენის მოქმედებისა ამ შემთხვევაში. გადაჭრითა სთქვით—უეჭველად მივიღებთ მაგ წყალს თუ არა?

ხმ. იზმაილოვი. შეუძლებელს ითხოვს ხმოსანი მ. ვ. მაჩაბელი. ამისთანა საქმეში წინადვე გადაჭრით ლაპარაკს მხოლოდ უმეცარი მოახერხებს. ჩვენა ვცადეთ, არხი გავთხარეთ, წყალი სუფთა მოდის. ეგევე ვცადეთ არა მარტო ეხლა, არამედ მაშინაც, როდესაც მილის წყალს პირველად ვაკეთებდით. ჩვენ ჯერ გვინდოდა წყალი წამოგვეღო დიღუბიდგან, გამოსაცდელად ფულიც დავხარჯეთ, მაგრამ ცდა ვერ გამოდგა სასურველი, რადგან დასუფთავებულს წყალს მინერალური წყლები ემატებოდა, რომელიც სასმელად არ გამოდგა. მაშინ წავედით ავჭალას. იქ წყაროებიც ვნახეთ და ყოველ შემთხვევისთვის გავსინჯეთ მტკვარიც და ვნახეთ, რომ მტკვარიც მოგვცემდა სუფთა წყალს. ასეთი თვისება ავჭალის ნაპირებისა ეხლაცა ვცადეთ და, როგორც მოგახსენეთ, სასურველი აღმოჩნდა ნაყოფი. აქედგან ცხადია, რომ წყალი უნდა შევიძინოთ მტკვრიდგან, თუ რაიმე უცაბედი გეოლოგიური დაბრკოლება არ გადაგვეღობა გზაში და არ აურიოს სიცხადე ჩვენის მოსაზრებისა. მ. ვ. მაჩაბელი კი იძახის—გადაჭრით გვითხარით, თორემ გროშსაც არ მივსცემთ საქმისათვისაო. ეგ იმასა ჰგავს, მოიწვიო ექიმი და თავს დაადგე—უეჭველად დღესვე მითხარი, რომ ხვალ კარგა შევიქმნები, თორემ გროშს არ მოგცემო. არც ერთი მართებული ექიმი არ მოგცემთ პასუხს მაგისთანა უცნაურ საკითხზე. (სიცილია).

ხმ. მ. ვ. მაჩაბელი. როდესაც ექიმს ორი ათას თუმანს დავანახვებ და ვეტყვი—მომარჩენ თუ არაო, მაშინ გადაჭრილს პასუხს მომცემს, არა და—გროშსაც ვერ მიიღებს.

საბჭომ შეიწყნარა ხარჯის გაღება ფილტრების დასამთავრებლად და აგრეთვე შესაკეთებლად მილის წყალისა.

შემდეგ განიხილეს მოხსენება მაზედ, თუ ვინ უნდა გააკეთოს ცხენის რკინის-გზა დიდუბიდგან ნავთლუღამდე. რადგან უსახელო საზოგადოებამ უარი განაცხადა, ამის გამო საბჭომ ეს ლიანდაგი გარდასცა ბ-ნს ი. ს. ყორღანოვს, რომელმაც ოთხ თთვეზე უნდა მისცეს პასუხი, თანახმაა თუ არა ამ ლიანდაგის გაკეთებაზე.

## ღონისძიებანი ხოლერის წინააღმდეგ

გაზეთ „Нов. Обоз.“-ის გუშინდელს ნომერში დაბეჭდილია შემდეგი წერილი პ. იაკიმოვისა ზემოხსენებულის სათაურით: „ერთი გადამდებ-სენიანი ავადმყოფი საშიშოა არა მხოლოდ ქალაქისათვის, არამედ მთელის ქვეყნისათვისაც.

ეს ითქმის ყოველისავე გადამდებ სენის შესახებ და განსაკუთრებით ხოლერის შესახებ, რომელიც მოსალოდნელია, რომ დღეს-ხვალ ჩვენც გვეწვიოს.

ჩვენი ქალაქის თვით-მმართველობა თადარიგს იჭერს და სხვა და სხვა ღონისძიებას ხმარობს, რომ ხოლერა არ გადმოვიდეს ჩვენში, მაგრამ ამ მოქმედებას მხოლოდ საადმინისტრაციო ფერი სდევს, შინაურულად ხელის მოკიდება და გულის დადება არ ეტყობა. ჩვენი ქალაქის თვით-მმართველობა მარტო ბრძანებლობითა და დასჯით მოქმედობს... ესეთი წესი სწორედ ხელსაყრელია გამდიდრების და ხელის მოთბობის მსურველთათვის: სადეზინფექციო წამლების ფასმა ძლიერ აიწია, ნაგვის გადაყრაც ეხლა უფრო ძვირადა ჯდება, ვიდრე წინად და ამასთანავე მუშის დღიურმა ფასმაც ძლიერ აიწია.

ზედამხედველობენ და ათვალიერებენ მხოლოდ კერძო სახლებს, ხოლო სახელმწიფო და სხვა დაწესებულებათა სადგომებს ისე უბრალოდ ავლებენ თვალსა, თუმცა იქაც მრავალი ხალხი იყრის თავსა და სამსახურისა გამო ხმა ვერ ამოუღია სასანიტარო უწესოების შესახებ. სხვა ვინ არის ვალდებული, თუ არ თვით საზოგადოება, რომ გულიანად მოეკიდოს საქმესა და ქალაქი გაასუფთაოს? თუ ქალაქს არ შეუძლიან გაიმართოს „განსაკუთრებული ეტლები“ ნაგვის გასაზიდავად ⁊ ვერც კერძო სახლთა გაწმენდას იკისრებს, მაშინ თვით საზოგადოებამ უნდა ითავოს ეს საქმე „სასანიტარო საზოგადოების“ დაწესებით. ესეთის „საზოგადოების“ დაარსება უბრალო ოცნება ნურავის ეგონება; ვისაც კარგადა აქვს შეგნებული თავისი საზოგადოებური ვალდებულება იგი ადვილად განახორციელებს ამ განზრახვასა.

თუ მზრუნველობას სასოფლო მეურნეობისთვის ძლიერ ხშირად ისეთნი კისრულობენ, რომელთაც სპეციალური სამეურნეო განათლება არ მიუღიათ და მხოლოდ სასოფლო მეურნეობის კეთილდღეობის სურვილით ხელმძღვანელობენ, მაშ რატომ ჩვენ-კი არ ძალგვიძს დავაარსოთ სასანიტარო საზოგადოება“, რომლის წევრებსაც შეეძლებათ მრავალ ნაირად ხელი შეუწყონ ქალაქის გასუფთავების საქმესა.

ნაგავი ეზოებიდგან ყოველ დღე უნდა იზიდებოდეს და არა მხოლოდ მაშინ, როცა ნაგავი ბლომად შეგროვდება. ქალაქს რომ „ნაგვის ეტლები“ ჰქონდეს და ყოველ დღე იზიდებოდეს ნაგავი, მაშინ ეზოები ძლიერ სუფთად იქნებოდა შენახული. თორემ ეხლა ძლიერ ხშირად მოხდება ხოლმე შემდეგ გვარი ამბავი: წაიღებს მუშა ერთის ეზოდგან ნაგავსა და ან მეორე ეზოს მახლობლად სადმე დაჰყრის და ან კიდევ სადმე ცალიერს ადგილზე, შიგ ქალაქშივე. ამ ჟამად, როცა ხოლერის მოლოდინის შიშში ვართ, ყოვლად საჭიროა, რომ ნაგავი ყოველ დღე ქალაქ გარედ იზიდებოდეს.

„სასანიტარო საზოგადოებას შეეძლო ხელი შეეწყო ქალაქის კეთილმოწყობილებისათვის ან თავისის ხარჯით (საწევრო ფულით) და ან სესხის შემწეობით, რომელსაც ყოველთვის იშოვნიდა, რადგან იმ ფულით გასუფთავებულ-გაშნოიანებულს ადგილს ყოველთვის ფასი მოემატება.

„სასანიტარო საზოგადოებას“ შეეძლო „იაფ-სასყიდლიანის სასადილოებისა“, სჩაიოებისა და ღარიბთათვის სუფთა სადგომების გამართვა.

„რადგან ხოლერის მოლოდინის შიშში ვართ, ამიტომ, ვიმეორებთ, ძლიერ საჭიროა, რაც შეიძლება მალე დაარსდეს „სასანიტარო საზოგადოება“. იმედია, უფლების მქონენი დროზედ ითავებენ ამ საქმეს.

სამკურნალო საზოგადოებას თავისი სპეციალური საგანი აქვს და, ამიტომ იმისი ხელის შეცქერა ჩვენთვის ეხლა გამოსადეგი არ არის. მხოლოდ თავის თავის დაცვით შეგვიძლიან ავიცილოთ ის არა-სანიტარული მდგომარეობა, რომელშიაც ჩვენა ვართ ამ ჟამად ჩაცვივნულნი.

თითოეულის კაცის ცალკ-ცალკე ცდა ვერაფერს გახდება, თუ მეზობელი მეზობელს არ წაეხმარა. ნაგვის დაწვა თითოეულისთვის ყოვლად შეუძლებელია, ხოლო ქალაქი ან «საზოგადოება“ ამას ძლიერ ადვილად მოახერხებს. მერე რა ნაირად საჭიროა ნაგვის დაწვა ტფილისში! უფრორე საჭიროა წყალი, მწვანილი და მათი სრულიადი სუფთაობა. მარტო ქალაქს ვერ ძალუძს ყოველისავე ამისათვის ხელის გაწვდენა. საჭიროა შეერთებულის ძალით დახმარება მოქალაქეთა მიერაც».

## დაბა ⁊ სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**სოფ. ქვემოჭალა** (ლეხურის ხეობა, ქართლი). 11 ივნისს შუადღისას ცა შავად მოიღრუბლა, სოფელ ქვემოჭალის მცხოვრებელნი მხიარულობას მიეცნენ: ეგონათ, კარგი წვიმა წამოვაო და გოლვისაგან გაჭირვებულს ჭინახულებს შეღავათს მისცემსო. ამის მაგიერ ამოვარდა საშინელი ქარი, ზედ მოჰყვა სეტყვა და თქვენს მტერს დაადგეს ის უბედურება, რაც ქვემოჭალელებს დაადგათ. თითქმის შემოსული ქერები, თავ-თავ დაწმენდილი ყანები, ისე ჩალეწა სეტყვამ, რომ, ვისაც იმედი ჰქონდა დღიურზედ ოცისა, ანუ თხუთმეტის კოდის ჭინახულის მოსვლისა მაინც, ეხლა სეტყვის წყალობით კოდ-ნახევარ ზევით ველარ აიღებს. იმათი ვენახები მტერმაც რომ ნახოს, შეებრალება. ვენახებს მშვენივრად ესხა, ისე რომ თითო ვაზს ათ მტევანზედ ნაკლებ არ ება, და ეხლა არა თუ ყურძნის მტევანი, არამედ ტოტებიც კი დაალეწა სეტყვამ. პატრონები ძლიერ შიშობენ: „შეიძლება, ვენახები სამამულედაც წაგვიხდესო.“ სეტყვის შემდეგ ქვემოჭალის მცხოვრებნი თავიანთ ვენახების სანახავად მიეშურებოდნენ. სოფელ ქვემოჭალის მცხოვრებელთა გლეხთა სახსარი არის მხოლოდ ვენახის და ბოსტნის მოსავალი: ჰყიდიან მხოლოდ ღვინოს და კომბოსტოს და ამით აღებულის ფულით იშორებენ ყოველს, როგორც კერძო, ისე სახელმწიფო გარდასახადს. ჭინახული მხოლოდ თავიანთ სამყოფი მოჰყავდათ და დღეს, ამ უბედურების შემდეგ, ესეც სასყიდელი გაუხდათ. გლეხკაცმა ვალი უნდა აიღოს თავის საზრდოდ და ყოველ ხარჯების მოსაშორებლად და ამ ნაირად უნდა გაებას სოფლის ობობების ქსელში... ამას გარდა ამ საშინელმა ქარმა და სეტყვამა სხვა ბევრი ზარალიც მოუტანა ქვემოჭალის მცხოვრებლებს. მაგალითად, სეტყვამ დახოცა მრავალი შინაური ფრინველი, ბევრს სახლში შეუვარდა ნიაღვარი და სახლები გაუოხრა, რამდენიმე საბძელი, ბეღელი, სიმინდის ჯინი და სხვა დაანგრია. ყველა რომ ჩამოვთვალო, რაც ზარალი მისცა სეტყვამ ქვემოჭალელებს, გაზეთის მთელი ნომერი მოუნდებოდა. საერთოდ ზარალი ორი ათას თუმნამდე იქნება. ჯერ ჯეროვნად ზარალი ადმინისტრაციას არ შეუმოწმებია.

გენო — ლახვარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ᲒᲣᲠᲘᲐ.** ერთი ჰანელი თათარი ამ რამდენისამე წლის წინად გადმოვიდა თავის სოფლიდგან გურიაში და დასახლდა აქ. მაჰმადის სჯული უარჰყო, მოქრისტიანდა და მოინათლა. ყველას ესიამოვნა. ამბობდნენ, ეს კაცი „ცოცხლითაი ცხონებულია", პირდაპირ სამოთხეში შევა, რადგან, რაც მონათვლამდის სცოდა, იმ ცოდვათაგან ნათლის-ღების დროს განიწმინდა და განიბანა და შემდგომში-კი ეცდება ქრისტე-მაცხოვრის სწავლა-მოძღვრების თანახმად ცხოვრებასო. ამ მონათლულმა თათარმა მოლოდინი არ გაამართლა; ეხლა მის ნაცნობების უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ თათარი მოინათლა ქვეყნის შესახედავად, „ფარისევლობით", რათა ამით მოიპოვოს ჩვენის ხალხის ნდობა, ხოლო გულით და საქმით, თუ გინდ თათარზედ უთაურესი იყოს, იმისი დარდი არა აქვს. ამ კაცმა ხელობათ გაიხადა ექიმბაშობა. ეს ჩვენის დროის ჯანაოზ ექიმი, სხვათა შორის, ჩემულობს ისეთის სენისაგან განკურნებას, რომლის წინააღმდეგ, სამწუხაროდ, უმეტეს შემთხვევაში, სამკურნალო მეცნიერება აქამდის ვერაფერს ჰშველის, უღონოა. ასეთი სენია სულით ავადმყოფობა (სიგიჟე) და ავი-ზნე (ბნედა). ხსენებული მონათლული თათარი რომ სწამლობდა ასეთის სენით შეპყრობილებს და ფულიც გამოართვა, ბევრი ვიცით; მაგრამ რომ მოერჩინოს, ან უკეთ-ყოფნა მიეცეს, არც ერთი მაგალითი არ ვიცით.

ჩემის ფიქრით, ქურდომა და ავაზაკობა უფრო მიეტევება ადამიანს, ვიდრე ასეთი საქციელი. მგონია, ყაჩაღებშიაც ნაკლებად ერევიან ისეთი გულქვა, კაცობაზედ ხელ-აღებული, რომ ბედისაგან დაჩაგრული, დაავადებული და დასაწყლებული კაცი არ შეეცოდოს და იმას წაართვას და წააგლიჯოს რამე. რა თქმა უნდა, მატყუარა ატყუებს უვიცს, უსწავლელს და ბეჩავს ხალხს. მიდის მიუწვევრად ავადმყოფის სახლში, აიმედებს ჭირისუფალს, მოვარჩენო, ამასთანავე აფრთხილებს არ გაამხილო, თუ ეს კაცი მწამლობსო, თორემ წამლობა არ მოუდგება და არ მოუხდებაო. როცა გამოსტყუებს, რაც მოეხერხება და „მოეღონისკარება", გაიპარება სხვა ავადმყოფთან, სხვა სოფელში. თუ მოტყუებული მოსძებნის მომტყუებელს უსაყვედურებს, არაფერი უშველე ავადმყოფსაო და ფულს მოსთხოვს, უკანასკნელი უპასუხებს: „ოთხი და ხუთი თუმანი „გასამრჯელოდ" და წამლის ფასად მერგება, თუ არ მოუხდა, მე რა ვუყო, რაც ვიცოდი, ქე უწამლეო".

მისი წამლობა ის არის, რომ ბალახ-ბულახს და „ნოშოს" ჰხარშავს და ხრაკავს უხმარ ქოთანში. ასეთ მომზადებულ ბალახს, ზოგს მიწაში მარხავს, ზოგს ავადმყოფს „უშხოლებს" და თან რაღაცას თათრულად უკითხავს, მგონია, წყევა-შეჩვენებას.

მოტყუებულმა რომ სასამართლოში ეძიოს დაკარგული, წააგებს, რადგან მოწმე არა ჰყავს. ბევრ დაზარალებულსა და მოტყუებულს გამჟღავნებისაც სცხვენია. ერთ ადგილას რომ შეიტყობენ მის ამბავს ახლოაც არ მიიკარებენ, სხვაგან მიდის და, თითქმის ყოველ გვარ ჭირის აქიმობა ვიციო, ამბობს. ქვეყანა, მოგეხსენებათ, ფართოა, ავადმყოფების რიცხვიც არაა ცოტა და ასეთს კაცს ნაკლებად გამოელევა სახრავი. რამდენჯერმე დაიჭირეს, ბევრჯელ დასაჭერად წაიყვნეს, მაგრამ არა და არ იქნა, ვერ დააწერინეს პირჯვარი და ვერ აღებინეს ხელი მატყუარობაზე. ახლა შეიძლება ბრალდებულის სკამზე დასვან და ღირსეული სასჯელი მიაგონ. ამ ვაჟბატონს ბრალად ედება, ორსული ქალისათვის ბავშვის მოსავნები და გასაწყალებელი წამალი მიგიცია, წამალს კიდევაც უმოქმედნია და გამოუწვევია უდღეურის ბავშვის დაბადებაო. ეს საქმე თუ როგორ გამომჟღავნდა, მოგახსენებთ.

ამას წინად გურიის ერთს სოფელში ერთს კაცს ცოლი შესჩიოდა, ქორწინების სიწმიდეს არღვევ, მე მღალატობ და ამა-და-ამ ქვრივ ქალს ეტრფიალებიო. ქმარი არწმუნებდა ცოლს, უბრალო ვარო, მაგრამ ცოლ-ქმარს შორის უკმაყოფილება ჩამოვარდა. ამ კაცის ცოლმა შეამჩნია, რომ მისი მეტოქე ქალი ორსულია და მოულოდნელად ლოგინადაც დაწვა; მივიდა ადგილობრივ მამასახლისთან და გამოუცხადა: ესა-და-ეს ქვრივი ქალი ორსულად იყო, ლოგინად დაწვა, ბალანა შეეძინა, მოჰკითხე, რა უყო, არ მოეკლას, ან ვისმეს არ მიუგდოს, რომ ამ სოფლის „ყაზახებს" არ მოახვიოს იმისი გამოზრდაო. მამასახლისი მივიდა ავადმყოფთან, თუმცა ძლიერ მწუხარედ დაუხვდა, მაგრამ მაინც უთხრა, რისთვისაც მისულიყო. შეწუხებულმა ქვრივმა კანკალითა და კვნესით მიუგო: „რას ქვიან ბალანა, რატომ წაიწყმიდეთ სული ამის თქმით, ამისთანა საშინელი ვინ მომიგონა, ამგვარს საქმეს როგორ გავივლებ გულში. უბედური ჩემი ქმარი რომ მოკვდა, მერე კურცხალი არ შემშრობია თვალებზედ, სიცოცხლე ჯოჯოხეთად მაქვს გადაქცეული. ამდენმა ჯავრმა და მწუხარებამ დამაწყლა და ვკვდებიო„. მამასახლისს ეჭვი შეუვიდა ავადმყოფის სამართლეზე და მისწერა ბოქაულს, ასე-და-ასეა საქმე და რას მიბრძანებო. ბოქაულმა მოსწერა, მიიყვანე სოფლის ამყვანი ბებია და გაასინჯვინეო. ამყვანმა ბებიამ გასინჯა და განაცხადა, რომ ბავშვი დაბადებიაო. მამასახლისმა ესეც მისწერა ბოქაულს. ბოქაულმა მომრიგებელ-მოსამართლეს გაუგზავნა ოქმი. როცა მორჩა ქვრივი, მიიხმო მოსამართლემ და შეჰკითხა. ქვრივმა ისეთი ჩვენება მისცა, როგორიც მამასახლისს. მოსამართლემ მაზრის მკურნალს შეამოწმებია; მკურნალმა დაამოწმა, რომ მოკლე ხანში მორჩენილა მშობიარობისაგანაო. ამას შემდეგ მოსამართლემ ხელ-მეორედ ჰკითხა ქვრივს, რას იტყვი, რა უყავი ბავშვიო. ახლა მიხვდა ქვრივი, მისი „არა" აღარ გაჰვიდოდა და სთქვა: ბავშვი დღიური არა ყოფილა, მკვდარი იყოო. გავიდა დრო. ჩვენს წერილში მოხსენებულ მატყუარა ექიმბაშს ფული ემართა ორის კაცისა. როცა მოსთხოვეს, იმან სთქვა, ამა-და-ამ კაცს მართებს ჩემი ფული და, როცა გადამიხდის, მოგცემთო. ის კაცი დაასახელა, რომელსაც ცოლი ღალატს სწამებდა და აღვნიშნეთ ზემოდ კიდეცა. რის ფულები ჰმართებსო, რომ ჰკითხეს, წამოსცდა, ბავშვის „წასახდენი" წამალი მივეცი ამა-და-ამ ქვრივისთვისაო. დაასახელა წერილში ხსენებული ქვრივი ქალი. ამ ამბავმა სასამართლომდე მიაღწია, რის გამოც პასუხის გებაში მისცეს, როგორც ძაძა-ფლასით მასილი მანდილოსანი, აგრეთვე მის მოტრფიალედ დასახელებული კაცი და მონათლული თათარი. ვნახოთ, რომელს გაამართლებენ და რომელს გაამტყუნებენ.

ქვიანელი

---

**ᲡᲝᲤ. ᲓᲐᲠᲒ-ᲙᲝᲮᲘ** (კავკავის მაზრა) მაისის 25. ოსებში მამა პაპურ ჩვეულებად აქვთ დარჩენილი სისხლის აღება მოსისხლესაგან. ამ ძველის ჩვეულების წყალობით ბევრ კარგ ვაჟკაცის სისხლი დათხეულა, ბევრის დედა და წვრილი ცოლშვილი ატირებულა და ბევრს გამოუხურნია სახლის კარიც. სისხლის აღება ოსებს, ზოგჯერ თითქმის უნებურადაც მოსდით ხოლმე; ოსმა რომ სისხლი არ აიღოს, მთელი გვარი სხვისა ხელით მოკლულისა ხალხისაგან შერცხვენილი დარჩება და თითქმის თავის ტოლამხანაგთან გაბედვით და თამამად ველარ ამოიღებს ხმას. მაშინვე პირში ბურთს ჩასჩრიან და წასძახებენ: „თუ შენ კარგი კაცი იყო, ანუ, თუ თქვენ კარგი გვარისანი იყოთ, თქვენის მკვდრის სისხლს აიღებდითო". და ამიტომ ოსმა უსათუოდ ყოველი ღონის ძიება უნდა იხმაროს, რომ როგორმე აიღოს სისხლი.

აი ამ ნაირ უბედურ ჩვეულების მსხვერპლი შეიქნენ ორი გვარის ორი ვაჟკაცი სოფ. დარგ-კოში ამ ერთის თვის წინად. საქმე ასე იყო: სოფ. დარგ-კოხში ხმა დადიოდა, რომ დარგ-კოხელი რამონოვი დაახლოებულია იმავე სოფლის მცხოვრებელ ბესაევის სიდედრთანაო. ბესაევმა, ეს ერთი წელიწადია, რაც ჯვარი დაიწერა და მოიყვანა ცოლი. რასაკვირველია, ხალხის ხმამ მის ყურამდისაც მიაღწია. ამიტომ რამდენჯერმე თურმე სთხოვა რამონოვს: „აქამდინ რაც იყო-იყო და ეხლა გთხოვ, ხელი აიღო ჩემგან და ჩემ კარმიდამოშიაც აღარ გაიაროვო". ბესაევი მარტო ხელი კაცი იყო და რამონოვი არაფრად აგდებდა, რადგანაც ცოტა-მატა შეძლებაც ჰქონდა. ბესაევმა კიდევ განუმეორა იგივე სიტყვები, მაგრამ რამონოვმა თავისი არ დაიშალა და ისეთი მწვავე სიტყვები მიახალა პირში, რომელიც ბესაევს ცხელ ტყვიასავით მოხვდა და ცოლზედაც ეჭვი აღებინა.

ოც-და-ორს აპრილს, შუადღე იყო, ხალხი მინდორში გაკრეფილი იყო სახნავ-სათესად, მხოლოდ მოხუცთ, ყმაწვილებს, დედაკაცებს და უსაქმო მუქთაჰამიებს დარჩენოდა სოფელი. ბესაევიც თავის ეზოს კარებზედ იდგა თურმე ჩაფიქრებული. გაიხედა და დაინახა, რომ რამონოვი დაუპირდაპირდა მის ეზოს კარებს. დაინახა თუ არა ბესაევმა, რამონოვს შესძახა: რამდენჯერ დამითხოვნიხარ, ჩემი სახლისკენ ნუ გაივლი-მეთქი და შენ აქეთ მოდიხარ კიდევაო. რამონოვმა უპასუხა: შენი რისხვა მქონდეს, ნეტა რას მიზამო. ბესაევი უცბად შებრუნდა შინ, ჩამოიღო თოფი და გამოარბენინა. რამონოვმა თოფით მომავალი ბესაევი რომ დაინახა, დააპირა დაბრუნება, მაგრამ ამ დროს გავარდა კიდეც თოფი, მოხვდა რამონოვს ტყვია მარცხენა იღლიის ძირში და მარჯვენაში გავარდა. რამონოვი ხმა-ამოუღებლივ დაეცა ძირს. ბესაევი მივიდა და ჩასძახა სულთ მობრძავს: „მე და შენში ვისიც ბრალი იყოს, ჩვენი ორივეს ცოდო მისი იყოსო". შემდეგ ბესაევი მამასახლისმა იმავე დღესვე ხელებ-შეკრული ყარაულით ქვეშ გაჰგზავნა მაზრის უფროსთან. დარგ-კოხიდგან გაგზავნილი ბესაევი ყარაულებმა, საღამოს ჟამი იყო, რომ ჩაიბარეს ხუმელაგის მამასახლისს. იმ ღამეს, რადგანაც უდრო-უდრო იყო, მეორე დღემდე არ გაგზავნა ხუმელაგის მამასახლისმა ბესაევი. მეორე დღეს ე. ი. ოც-და-სამს, ხელებ-გაკრულივე ხუმელაგის მამასახლისმა ოთხის ყარაულით გაისტუმრა. თურმე ნუ ბრძანებთ, რამონოვის ძმები და გვარეულობა--ათი კაცი გზაში ჩასაფრებოდნენ ბესაევს. ყარაულებმა გაიცილეს თუ არა ხუმელაგს ბესაევი, ე. ი. ბესლანსა და ხუმელაგს შუა, ესე დილის რვა საათი იქნებოდა, ჩასაფრებულნი მოსისხლენი გადმოუცვივდნენ გზაზედ, ყარაულები გაფანტეს, საბრალო ხელ-შეკრულ ბესაევს-კი, ჯერ თოფი დასცეს გულში, მერე მისდგნენ ხანჯლებით და ისე დაჩხვლიტეს, როგორც ცხრილი. ერთი ცხენოსანი ყარაული თქაფა-თქუფით მოვარდა ხუმელაგაში. უცბად გაისმა ზარების რეკა. მთელი სოფელი, დიდიან-პატარიანად, ქალიან-კაციანად ფეხზედ დადგა, და ყველანი ლუკმა-ლუკმა დაკუწულ საბრალო ბესაევის გვამისკენ მიეშურებოდნენ. ბესაევის მკვლელნი რამონოვები არ გაქცეულან: თავიანთ ნებითვე მივიდნენ ხუმელაგის კანცელარიაში. სანამ მაზრის მკურნალი და გამომძიებელი არ მოვიდა, ბესაევი იმავე ალაგას იყო, საცა ჩაკუწეს.

ეს საზარელი ხმა მალე ელვასავით მოედო ახლო-მახლო სოფლებს და იმდენი ხალხი მოგროვდა, რომ თვლა არა ჰქონდა. საღამოზედ მოვიდნენ ექიმ-მკურნალი და გამომძიებელი, გასინჯეს და ოც-და-შვიდგან აღმოჩნდა ხანჯალ დაკრული; საბრალო უკანიდგან მაინც სულ ცხრილივით იყო ხანჯლის წვერებით დახვრეტილი. ბესაევის მკვლელები რამონოვები გამომძიებელმა საპატიმროში გააგზავნინა.

ქართველი ოსებში

---

## უცხოეთი

**ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ.** ინგლისში საპოლიტიკო ბრძოლა დასთა შორის უკვე დაიწყო. დღითი დღე უფრო და უფრო დიდს ყურადღებას იქცევს მომავალი არჩევანები. 3 ივნისს პლიმუტში ჯონ მორლეიმ სიტყვა წარმოსთქვა და შემდეგ გვარად განმარტა მნიშვნელობა არჩევანებისა. ორატორის აზრით, ამ არჩევანებმა უნდა გადასწყვიტოს უმთავრესი საგები არა მარტო ინგლისისა, არამედ მთელის ქვეყნისა. საბრძოლველი ველი ძლიერ ვცელია და საცილობელი საგანიც მრავალი და არა მარტო ჰომრული, როგორც ლიბერალთა დასის წინააღმდეგნი ამბობენ. „მრავალნი თქვენგანნიო—სთქვა მორლეიმ: მომხრენი არიან სარწმუნოებრივის უფლებით თანაბრობისა (დიდი ტაშის ცემა). მსურს დავეკითხო ყოველს ამომრჩეველს, რომელიც-კი ყოფილა და ამ ჟამადაც არის მომხრე ხსენებულის პრინციპისა, შეუძლიანთ განა შეიწყნარონ ისეთი რამ, რაიცა ასე თუ ისე ხელს შეუშლის და შეაფერხებს სარწმუნოებრივს თავისუფლებას? ამბობენ ტორიებსა და ლიბერალებს შორის განსხვავება არა არის-რაო; მაგრამ ტორიები განა წინააღმდეგნი არიან საეკკლესიო უპირატესობისა? (დიდი ტაშის ცემა). განა ისინი წინააღმდეგნი არიან მემკვიდრეობითის საკანონმდებლო უფლებისა? (დიდი ტაშის ცემა). მე მგონია, რომ მალე მოგვიხდება ამ საგნის განხილვა, რადგან გამგენი ამ საქმისა ამბობენ, ლორდთა პალატა თავის ნებასა და მსჯელობას ერისა და მეფის შორის ჩააყენებსო. ამ დღეებში ლორდმა სალისბერიმ ლორდთა პალატის შესახებ სხვათა შორის სთქვა, ძლიერ ცოტას უნდა იმისი სრულიად გაუქმებაო: „მაგრამ რაც უნდა იყოს, შეჰნიშნა ამასთანავე: ლორდთა პალატა მაინც ნაწილია კონსტიტუციისა, და ამიტომ იმისმა წევრებმა სრულიად არ უნდა შეიწუხონ თავი ამ ფიქრით—ღირსნი ვართ თუ არა მოწოდებისაო: იმათ მხოლოდ თავიანთი მოვალეობა უნდა შეასრულონ"-ო. ეს ყველაფერი მართალია, მაგრამ ინგლისის ერმა-კი უნდა იფიქროს — ღირსნი არიან თუ არა ლორდები ქებისა (ტაშის ცემა). აწინდელი მთავრობა სიამაყით გვითითებს უსასყიდლო სკოლაზე, მაგრამ უსასყიდლო სკოლის შემოღება არა კმარა. შეუძლებელია, რომ იმ ქვეყანაში, სადაც ხალხი თვით-მმართველობს და სკოლები საზოგადოების ფულით ინახება, ამ სკოლებს მხოლოდ კერძო კაცნი განაგებდნენ და საზოგადოება არაფერს მონაწილეობას არ იღებდეს ხსენებულს საქმეში: ვთხოვ ამომრჩევლებს დაფიქრდნენ არჩევანების დროს, თანაუგრძნობენ თუ არა ამ პრინციპებს. ვამტკიცებ ამასთანავე, რომ თქვენ საგრაფოთა საბჭოების შემწეობით ვერაფერს გახდებით მანამდე, ვიდრე სამრევლო საბჭოებსაც არ დააარსებთ (ტაშის ცემა). განა სასაცილო ამბავი არ არის, რომ კაცს მოქალაქე ეწოდებოდეს და იმისი მოქალაქეობა მხოლოდ იმაში მდგომარეობდეს, რომ მხოლოდ შვიდს წელიწადში ერთხელ მონაწილეობა მიიღოს საპალატო არჩევანებში? კაცმა მოქალაქეობა თავის ყოველ დღიურ ვარამისათვის უნდა გამოიყენოს. თქვენ, ქალაქის მცხოვრებნო, თვით-მმართველობა გაქვთ, მაგრამ მამულის მფლობელისა და მღვდლის სამძიმო გავლენის ქვეშ მყოფი ხალხი ეხლა თხოულობს—მეც ხმა ამომაღებინეთ ჩემის დღიურის ვარამის შესახებაო (ტაშის ცემა). ტორიები იპირებიან, ბილლს წარვადგენთ ამ საგნის შესახებაო, მაგრამ უბრალო ლანდს ნუ აჰყვებით და ნუ დაიჯერებთ, რომ ტორიებსა და ლიბერალებს შორის განსხვავება არა არის-რაო. მათ შორის ძლიერ დიდი და ძირითადი განსხვავებაა. ლიბერალი თავდადებულია პრინციპებისათვის და სწამს იგინი, ხოლო ტორიები თავს არ იცხელებენ ამისათვის და არცა სწამთ პრინციპები".

**ᲘᲢᲐᲚᲘᲐ.** იტალიის მეფე-დედოფლის ბერლინში წასვლამ დიდი ამბავი მოახდინა რომის დეპუტატთა პალატაში. სამს ივნის, დაიწყო თუ არ კრება პალატისა, დეპუტატმა იმბრიანიმ იკითხა, რა პასუხს იძლევით მე-

ფე-დედოფლის გერმანიაში წასვლის შესახებაო; მე პასუხს დიდ ხანს ვერ მოვუცდიო. მეფე-დედოფლის წასვლა პოტსდამში სამარცხვინო ნაბიჯია... ორატორს სიტყვა გააწყვეტინეს ყვირილით: „კმარა! გაჩუმდი! ქუჩის ბიჭო!“ პრეზიდენტმა ბიონკერიმ შენიშნა: „დიდად პატივცემულო იმბრიანი, მაგგვარ საგნების განსჯა თქვენი საქმე არ არის“-ო. ამ სიტყვამ სრულიად დააკარგვინა მოთმინება იმბრიანის და გულ-მოსულმა დაუყვირა პრეზიდენტს: „როგორ თუ ჩემი საქმე არ არის! მე წარმომადგენელი ვარ იტალიის ერისა, რომელსაც მმართველნი აქამდე უწყალოდ აძრობდნენ ტყავსა. ამ სამთაკავშირის პოლიტიკამ რომლითაც სულს უხუთავთ ერსა, სწორედ ბოროტ-მოქმედებად გარდაგაქციათ. ეხლა ჩვენი მეფე-დედოფალი პოტსდამში წავიდა, რომ თავისით შეამოწმონ ჩვენი სირცხვილეულობა. ნეტავი გზაზედ თავ-პირი დაიმტვრიონ და ვეღარ მიაღწიონ ალაგას!..“ ამ სიტყვაზე უმრავლესობა დეპუტატებისა სავარძლებიდგან წამოხტა და ყვირილი მორთო: „ხმა გაიკმინდე!“-ო. გაფითრებულმა და აღელვებულმა იმბრიანმა განაგძო სიტყვა, მაგრამ აღარა ისმოდა-რა საერთო ყვირილისა გამო. პრეზიდენტმა ბიონკერიმ წინადადება მისცა პალატას კეთილი გზა ვუსურვოთ მათ უდიდებულესობასაო. ეს წინადადება შეწყნარებულ იქმნა და ყვირილიც მორთეს: „გაუმარჯოს მეფესაო!“ იმბრიანი ძალით წაიყვანეს დარბაზიდგან იმისმა ამხანაგებმა.

## წვრილი ამბავი

უკელაზე ადვილად ქორწინება და განქორწინება არაბეთის ბედუანებმა იციან. დაქორწინების დროს ცერემონია არა იციან-რა, მაგრამ უთუოდ საჭიროა თანხმობა მამისა და თვით გასათხოვარის ქალისაც. ვაჟობას რომ აიღებს სასიმამროსა და საცოლესას, სასიძომ უნდა მიიყვანოს ერთი ცხვარი მოყვრების კარავში და საცოლეს წინ დაკლას. დაკლული ცხვარი დარჩება მოყვრებს და საცოლეს-კი სასიძო მაშინვე თავისს კარავში წაიყვანს. ეს არის და ეს! ამის მეტი სხვა აღარა არის-რა საჭირო ქორწინების მოსახდენად. განქორწინებაც ასევე ადვილია. საჩივარი და სხვა დავიდარაბა სრულიად არ იციან: ქმარი შესვამს ცოლს ფამატს აქლემზე, ეტყვის: «შენ ჩემი ცოლი აღ რა ხარო» და გაისტუმრებს მშობლებთან. აქლემი ქალის მშობლების საკუთრება ხდება და ქალსაც 40 დღის შემდეგ ნება აქვს სხვას მისთხოვდეს.

— ამ დღეებში აღლუმის დროს ტემფელგოფის მინდორზედ გერმანიის იმპერატორს დაეკარგა ფულის ქისა, რომელშიაც იყო 100 მარკა ფული, რამდენიმე გასალები და ოქროს ბეჭედი. ქისა ვერ უპოვნიათ, თუმცა ბევრს დაეძებენ.

— გერმანიის ჯარში 8 პოლკოვნიკი ქალი ითვლება: ნიდერლანდის დედოფლები, სოფია და ვილჰელმინა, ვილჰელმ II მეუღლე, ქვრივი იმპერატრიცა ვიქტორია, პრუსიის ფრიდრიხ კარლოს ქვრივი პრინცესა, ინგლისის დედოფალი ვიქტორია და ამის ასული ჰერცოგინია განნაუტი და ედინბურგის ჰერცოგინია მარია ალექსანდრეს ასული.

— სუაზში მოუპარავთ 360—380-მდე დინამიტის გულები. ეხლა ამ რიცხვიდამ უპოვნიათ 371 გულა. რამდენისამე ანარხისტის სახლების გაჩხრეკის დროს პოლიციელებს პარიჟში უპოვნიათ 70 გულა. რავაშოლს უთქვამს, კლიშის ქუჩაზე რომ აფეთქება მოახდინე, იქ 115 გულა დამეხარჯაო. როგორც სხვა-და-სხვა ცნობათაგან სჩანს, სენ-ჟერმენის ბულვარის აფეთქებაზედაც 30 გულა დახარჯულა. პარიჟის ლაბორატორიის დირექტორის ჟირარის აზრით „ვერი“-ს რესტორანის აფეთქებაშიაც 15 გულაზედ მეტი არ დაიხარჯებოდა. ამას რომ მიემატოს 140 გულა, რომელიც პანტენის ხიდის მახლობლად იპოვნეს, სულ შეადგენს 370 გულას. დარწმუნებით იციან, რომ ანარხისტებს აღარა აქვთ სუაზში მოპარული დინამიტის გულები. პოლიციის პრეფექტის განკარგულებით ნაპოვნი დინამიტის გულები დამალეს პარიჟის ლაბორატორიაში. ჟირარის, ლაბორატორიის დირექტორის აზრით, საშინელი აფეთქება მოხდებოდა, თუ რომ დინამიტი კიდევ რამდენიმე დღე დარჩენილიყო ხიდის ქვეშ. 21 მაისს (2 ივნისს) სენ-ჟანში დააპატიმრეს ხუთი ანარხისტი, რომლებსაც უპოვნეს ბევრი იარაღი და დინამიტით გატენილი ყუმბარები.

## დეპეშა

16 ივნისი

**ლონდონი.** გუშინ, ჩესტერში იმ დროს, როცა გლადსტონი ეტლით მიდიოდა საარჩევანო კრებაზე, ერთმა დედაკაცმა, მუშათა წოდებისამ, ესროლა პირში პურის ქერქი და მოახვედრა თვალ ქვემოდამ. თუმცა წყლულს ტკივილები და სისხლის დენა მოჰყვა, გლადსტონმა მაინც მთელი ერთი საათი ილაპარაკა. თვალის ექიმმა ურჩია მოსვენებული ცხოვრება.

**პარიჟი.** პოლიციამ გაიგო, ვინც არიან ვერის რესტორანის ამფეთქებელნი. ორი მათ შორის დაპატიმრებულია, ხოლო დანარჩენი ორნი ლონდონში არიან. ქაღალდი უკვე გაგზავნილ იქმნა, მოგვეცით ეგ დამნაშავენიო.

**სიმლა.** აბდურახმან ხანის სარდალი, გენერალ გოლამ-ხანდერ-ხანი დამარცხებულ იქმნა მახმუდების მიერ ჯადოლელ უმრა ხანის შემწეობით.

პეტერბურგის ბირჟა, 12 ივნისი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,05 | 7,97 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 155¼ | 160 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1,10 | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 241 |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 220½ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — ,, | 193½ | 194½ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6%. . . . . . | 102½ | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . . | 99¼ | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | 102½ | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . . | 99½ | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 98½ | — ,, | — ,, |

### გამოსადეგი ცნობანი

ღიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

„ . . , . „ . 6 ს. 50 წ. საღ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

**ტფილისსა და განჯას შუა.**

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

**ბათუმიდამ გადის:**

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კ ვ ი რ ა ო ბ ი თ ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ო რ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ, საღამოს 7 საათზე, საზღვარ გარედ სტამბოლში.

**ბათუმში მოდის:**

ო რ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: საღამოზე, ოდესიდგან, შორის გზით. პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ, დ ილით, ოდესიდგან, მოკლე გზით, გამოივლის ერჩსა და ნოვოროსიისკზე. კ ვ ი რ ა ო ბ ი თ დილით, სტამბოლიდგან.

**ფოთში მოდის:**

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

საფოსტო და სახალხო ოდესიდგან ორშაბათობით, დღისით.

სახალხო და საქონლისა კვირაობით, საღამოზე, ოდესიდგან. ს ა ხ ა ლ ხ ო და საქონლისა ბათუმიდგან ხუთშაბათობით, განადისაითს.

**ფოთიდგან გადის:**

საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, კვირაობით, დილის 8 საათზე

საფოსტო და სახალხო ორშაბათობითისაქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

# განცხადებანი


**გასაფრთხილებლად.**

ჩვენს პატივცემულს მყიდველებსა ვთხოვთ, რომ მოითხოვონ ხოლმე ჩვენ მიერ გამოგონილი საპონი

ოლეო-ვაზელინის

**როიალ-კონგო**

მხოლოდ ჩვენის წარწერით-კი ე. ბოდლოსი და ამხ. ამ საპონმა დიდი სახელი გაითქვა და არა აქვს-რა საერთო ღირსებითა და სუნით სხვა ამ სახელის მაგვარ სახელიან საპნებთან.

საპარფიუმერო ფაბრიკა

„ვიქტორია რეგინა“

**ე. ბოდლოკი და ამხ.**

მოსკოვს.

ისყიდება ყველგან! (10—1)

წ ა რ მ ო ე ბ ა

**ასფალტის საშუშაოთა.**

ისყიდება

**ასფალტი და გუდრონი**

უმაღლესად დამტკიცებული სიზრანის ასფალტის ქარხნის საზოგადოება ტფილისსა და ბათუმში.

მსურველთ უნდა მიჰმართონ შემდეგის ადრესით:

ტფილისში, ალექსანდრეს ქუჩა, სახლი № 5 ი. მ. ჩერნიაევს;

ბათუმში, ბაღის ქუჩა, სახლი № 3 პ. პ. სუხანოვს.

(15—7)


„წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ გამგეობა ამით აცხადებს, რომ მან განიზრახა ბეჭდვა პატარა-პატარა წიგნისა ხალხში გასავრცელებლად, რაისათვისაც იგი იწვევს მსურველთ ხელნაწერი წარმოუდგინონ „საზოგადოების“ გამგეობას პირველ იანვრამდე 1893 წლისა „საზოგადოების“ კანცელარიაში (ტფილისის ბანკის ქარვასლა, №№ 125 და 126) ან ფოსტით ამ ადრესით, ან პირადად დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. რომელ ხელნაწერსაც-კი „გამგეობა“ მოიწონებს, შემადგენელს მისცემს

## ჯილდოს.

პირველის ხარისხის ჯილდოა 50 მან., მეორისა—40 მან., მესამისა—25 მ.

ხელნაწერი უნდა იყოს არა უდიდეს 2 ბეჭდურის, თაბახისა 50—60 გვერდისა (ფორმატის გაცნობა მსურველთ შეუძლიათ „საზოგადოების“ კანცელარიაში). ეს შეადგენს დაახლოვებით 4—5 თაბახს უბრალო საწერ ქაღალდისას, შუათანა ხელით დაწერილს. ხელნაწერი უნდა იყოს მდაბიო, კარგის ქართულის ენით დაწერილი, და უნდა შეეხებოდეს ან ისტორიას, ან ბუნების-მეტყველებას, ან შეადგენდეს მოთხრობას ორიგინალურს ანუ თარგმნილს. შემადგენელმა ან ავტორმა ხელნაწერი უნდა წარმოადგინოს ორ პაკეტში შემდეგის წესით: ერთ პაკეტში უნდა იყოს ხელნაწერი რაიმე ნიშნით (მაგ ანდაზა, გამოცანა), მეორეში სახელი და გვარი ავტორისა და იგივე ნიშანი, რომელიც პირველს პაკეტში იქნება. გამგეობა მეორე პაკეტს მხოლოდ მაშინ გახსნის, თუ ხელნაწერს მოიწონებს სრულად, თუ პირობით (შესწორებით, ან შემოკლებით); თუ გამგეობა ხელ-ნაწერს დაიწუნებს, უკანვე დაუბრუნებს ნიშნის წარმომდგენელს.

გამგეობა მაშინვე შეუდგება მოწონებულის ხელნაწერის ბეჭდვას და პირველი გამოცემა 1,200 ეგზემპლიარისა „საზოგადოების“ კუთვნილება იქნება.

მსურველთ შეუძლიათ კანცელარიაში გაიცნონ სია იმ წიგნებისა, რომელიც სასურველია გადმოკეთდეს, ან გადმოითარგმნოს.

(10—0—9)


საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

**„ივერია“**

1892 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით. . . | 10 მ.—კ. | 6 თთვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 ,, . . . | 9 ,, 50,, | 5 ,, . . . | 5 ,, 50,, |
| 10 ,, . . . | 8 ,, 75,, | 4 ,, . . . | 4 ,, 75,, |
| 9 ,, . . . | 8 ,, —,, | 3 ,, . . . | 3 ,, 50,, |
| 8 ,, . . . | 7 ,, 25,, | 2 ,, . . . | 2 ,, 75,, |
| 7 ,, . . . | 6 ,, 50,, | 1 ,, . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.